

# *PwC Georgia Tax & Law Brief*

*31 May 2016*

---

## Consumer Protection Draft Law

---

The Parliament of Georgia has adopted on the 1<sup>st</sup> hearing the Consumer Protection draft law. Under the explanatory note, the draft law aims to harmonize national legislation with EU regulations.

The draft law regulates the relations between a consumer (an individual, who accepts an offer/purchases/uses products or service for personal purposes) and a person conducting sales (an individual or legal person who makes offer/sells products/ provides service. Among others, the draft law covers the following:

- **Misleading Advertisement.** An advertisement, expressed in any form, is misleading if it is directly targeted to or reaches the consumer in such form or content which may cause consumer misconception on the basis of which the consumer decides to conclude a transaction.
- **Misleading commercial activity** is defined as provision of false information, or correct information in wrong context or incompletely to the consumer, based on which the consumer has concluded or would have concluded an agreement that would not have been executed in case of providing full information.
- The terms, which were not a subject matter of an individual agreement, shall be deemed as unfair, if they contradict with the principles of good faith and cause unjustifiable imbalance in contractual rights and obligations between the parties. The burden of proof that these terms were subject of the individual agreement is on the seller.
- The consumer has right to claim product defect against the seller, if the non-compliance of the product with the contract is found within 2 years from the moment of transferring these products to the consumer or during the warranty period. The claim is to be exercised within 2 months from discovery of the defect.
- The consumer has right to repudiate a contract without cause within 7 days after transfer of the products in his/her possession (in case of service after the execution of the contract). This term is 14 days with respect to the contracts concluded in the street or remotely. There are some exceptions to this rule in case when the service is fully performed, the goods are produced within an

*Misleading  
Advertising and  
Commercial  
Activities*

*Unfair Terms of  
the Contract*

*Warranty  
Conditions*

*Right to  
Repudiate a  
Contract*

individual order, product are perishable, product integrity has been violated etc.

*Source: The Parliament of Georgia, 20 May 2016*

---

## The Ordinance #206 of the Government of Georgia on Start-Up Promotion Program

---

### **Promotion Program**

- The Government of Georgia approved the Start-up Promotion Program, which consists of two components: Technical promotion – technical support during selection and execution of projects (such as trainings, consulting and other technical support) and funding.

### **Start-up**

- Under the ordinance, a start-up is defined as an entrepreneur, which has been registered in Georgia by Georgian citizen/citizens and has been created for less than 6 months by the time of applying to this program.

### **Funding**

- Amount of funding cannot be less than 15 000 GEL and more than 100 000 GEL for per program beneficiary (regardless of project number).

*Source: Legislative Herald of Georgia, 17 May 2016*

---

## The Order #13446 of the Head of the Revenue Service on the Rule of Taxpayer's Personal Registration Cards

---

### **Methodical Instruction**

- Under the Order # 13446, dated 18 May 2016, the Head of the Revenue Service approved a new methodical instruction on the Rule of Taxpayer's Personal Registration Cards. This instruction stipulates the rules on recordings of tax obligations in personal cards and forms related to the taxpayer budgetary payment. This order will regulate the legal relations arising from 1 January 2016.

*Source: The Legislative Herald of Georgia, 17 May 2016*

---

## Let's talk

For a deeper discussion of how this issue might affect your business, please contact PwC Georgia

---

### **Sergi Kobakhidze**

Director, Tax & Law Practice  
E-mail: [sergi.kobakhidze@ge.pwc.com](mailto:sergi.kobakhidze@ge.pwc.com)  
Tel: + 995 32 250 80 50

### **Vano Gogelia**

Head of Legal Services  
E-mail: [vano.gogelia@ge.pwc.com](mailto:vano.gogelia@ge.pwc.com)  
Tel: + 995 32 250 80 50

### **Tamta Shermadini**

Manager, Advisory Services  
E-mail: [tamta.shermadini@ge.pwc.com](mailto:tamta.shermadini@ge.pwc.com)  
Tel: + 995 32 250 80 50

PwC in Georgia offers Integrated Assurance, Tax, Legal and Advisory services. PwC Network globally employees 208,109 people in 756 locations across 157 countries who share their thinking, experience and solutions to develop fresh perspectives and effective practical advice.

PwC Georgia **Tax Services** includes tax advisory services, tax reviews and tax compliance, transfer pricing compliance, representation during tax disputes, tax structuring, double tax treaty advice, tax due diligence support, customs matters and others.

PwC Georgia **Legal Services** offers a full range of legal support in corporate and commercial law, corporate reorganizations, corporate secretarial work, M&A, competition compliance & litigation, secured transactions, employment law, immigration, construction law and other. With over 2,400 lawyers across more than 80 countries, we have the broadest geographical coverage of any legal services network in the world.

At PwC Georgia, you will find **Advisory professionals** with unparalleled financial and accounting expertise, knowledge of business processes, industry insight and technology, and customer relationship skills. Through our capabilities in these areas, we assist clients in translating strategy into action.



This publication has been prepared for general guidance on matters of interest only, and does not constitute professional advice. You should not act upon the information contained in this publication without obtaining specific professional advice. No representation or warranty (express or implied) is given as to the accuracy or completeness of the information contained in this publication, and, to the extent permitted by law, PwC does not accept or assume any liability, responsibility or duty of care for any consequences of you or anyone else acting, or refraining to act, in reliance on the information contained in this publication or for any decision based on it.

© 2016 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Central Asia and Caucasus B.V Georgia Branch refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see [www.pwc.com/structure](http://www.pwc.com/structure) for further details.

# PwC საქართველო

## საგადასახადო და სამართლებრივი სიახლეები

31 მაისი 2016

### კანონის პროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“

პარლამენტს პირველი მოსმენით განხილული აქვს კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით კანონის მიღების მიზანს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოება.

კანონპროექტი ვრცელდება მომხმარებელსა (ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან, რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას პირადი მოხმარების მიზნით) და მოვაჭრეს (საქონლის შემთავაზებელი ან/და გამყიდველი, ასევე, მომსახურების გამწევი ფიზიკური ან იურიდიული პირი) შორის წარმოშობილ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე. კანონპროექტით მოწესრიგებულია სხვადასხვა საკითხები, მათ შორის:

**შეცდომაში  
შემყვანი რეკლამა  
და კომერციული  
საქმიანობა**

- შეცდომაში შემყვანია ნებისმიერი ფორმით გამოხატული რეკლამა, რომელიც უშუალოდ მიმართულია ან სხვაგვარად აღწევს მომხმარებელამდე ისეთი სახითა და შინაარსით, რომელიც მომხმარებელს უქმნის ან სავარაუდოდ შეუქმნის ისეთ მცდარ წარმოდგენას, რომლის საფუძველზეც მომხმარებელი იღებს გარიგების დადების გადაწყვეტილებას.
- შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად მიიჩნევა მომხმარებლისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რასაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს მომხმარებლის მოტყუება ან შეცდომაში შეყვანა, ასევე ფაქტობრივად სწორი ინფორმაციის მიწოდება არასწორ კონტექსტში ან არასრულად, რის საფუძველზეც მომხმარებელმა დადო ან შეიძლება დაედო ხელშეკრულება, რომელსაც სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების ემთხვევაში, არ დადებდა.
- ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხარეთა ინდივიდუალური შეთანხმების საგანს არ წარმოადგენდა, უნდა ჩაითვალოს უსამართლოდ, თუ ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს და „იწვევს მომხმარებლის

**ხელშეკრულების  
უსამართლო  
პირობები**

საზიანოდ გაუმართლებელ დისბალანსს სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებში“. მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ხელშეკრულების პირობები წარმოადგენდა ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანს, ეკისრება მოვაჭრეს.

**საგარანტიო  
პირობები**

- მომხმარებელს უფლება აქვს წარუდგინოს პრეტენზიები მოვაჭრეს, თუ საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამოა აღმოჩენილია საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემიდან 2 წლის ან საქონლის ვარგისიანობის ვადის განმავლობაში. მოთხოვნის წარდგენა დასაშვებია საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის აღმოჩენიდან 2 თვის ვადაში.

**ხელშეკრულებაზე  
უარის თქმის  
უფლება**

- მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე მომხმარებლის მიერ საქონლის მფლობელობაში მიღებიდან, ხოლო მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში - ხელშეკრულების დადებიდან 7 დღის განმავლობაში. ეს ვადა დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში შეადგენს 14 დღეს. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, მათ შორის როცა მომსახურება გაწეულია სრულად, პროდუქცია დამზადებულია ინდივიდუალური შეკვეთით, მიწოდებულია მალეუჭებადი პროდუქცია, დარღვეულია პროდუქციის ჰერმეტიკობა და სხვ.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 20 მაისი 2016

---

საქართველოს მთავრობის დადგენილება #206 დამწყები საწარმოებისთვის (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

---

**ხელშეწყობის  
პროგრამა**

- საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა დამწყები საწარმოებისთვის (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც მოიცავს 2 კომპონენტს: ტექნიკურ დახმარებას - პროექტების შერჩევას და განხორციელების პროცესში ტექნიკური დახმარების გაწევას (ტრენინგებს, კონსულტაციებსა და სხვა სახის ტექნიკური დახმარების განხორციელებას) და დაფინანსებას - პროგრამით დადგენილი წესის შესაბამისად.

**დამწყები  
საწარმო**

- დამწყებ საწარმოდ განისაზღვრება მეწარმე სუბიექტი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში საქართველოს მოქალაქის/მოქალაქეთა ჯგუფის მიერ და განაცხადის წარდგენის თარიღისთვის მისი შექმნიდან არ გასულა 6 თვე.

**დაფინანსება**

- დაფინანსების ოდენობა არ უნდა იყოს 15 000 ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს თითოეული პროგრამის ბენეფიციარისთვის (მიუხედავად პროექტის რაოდენობისა).

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 17 მაისი 2016

---

შემოსავლების სამსახურის უფროსის „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითება

---

**მეთოდური  
მითითება**

- შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის #13446 ბრძანებით დამტკიცდა ახალი „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითება, რომელიც ადგენს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათებში და ფორმებში საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვისა და ასახვის წესებს . მითითებული ბრძანების მოქმედება ვრცელდება 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 17 მაისი 2016

---

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

---

#### სერგი კობახიძე

დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

E-mail: [sergi.kobakhidze@ge.pwc.com](mailto:sergi.kobakhidze@ge.pwc.com)

ტელ: + 995 32 250 80 50

#### ვანო გოგელია

იურიდიული მომსახურება

E-mail: [vano.gogelia@ge.pwc.com](mailto:vano.gogelia@ge.pwc.com)

ტელ: + 995 32 250 80 50

#### თამთა შერმადინი

მენეჯერი, საკონსულტაციო მომსახურება

E-mail: [tamta.shermadini@ge.pwc.com](mailto:tamta.shermadini@ge.pwc.com)

ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 208,109 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 756 ოფისში.

PwC საქართველოს საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

PwC საქართველო იურიდიული მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში, 2400 იურისტით 80-ზე მეტ ქვეყანაში.

PwC საქართველოს საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, ფინანსური და შესაბამისი სექტორული ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი პროფესიონალები დაგეხმარებიან თქვენი სტრატეგიული გეგმების განხორციელებაში.

ეს მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შენახული ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნობს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2016 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Central Asia and Caucasus B.V Georgia Branch refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see [www.pwc.com/structure](http://www.pwc.com/structure) for further details.

